**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

14 ნოემბერი, 2025 წელი

**ბრძანება №**01-04/194

**ბსუ-ის** უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი **ტრენინგ-პროგრამის** „სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“ **პერსონალის მოწვევის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის №01-3/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმების (N1 დანართი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსადმი ბსუ-ს წერილის (№912340, 24/07/2025წ), ბსუ-ს უსგ ტრენინ-პროგრამის „სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“ აკრედიტაციის თაობაზე **პროფესიული განვითარების საბჭოს 2025 წლის 27 აგვისტოს №13 სხდომის გადაწყვეტილების (აკრ. №1141),** პროფესიული განვითარების საბჭოს 2025 წლის 02 სექტემბრის წერილის REG 92500976268 (ბსუ-ში შემოსვლის N1061235, 03/09/2025 წ.), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ ჯანდაცვის **(რადიოლოგიის) მიმართულების კოორდინატორის,** დავით ცეცხლაძის 2025 წლის 14 ნოემბრის №1609192 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. **მოწვეული იქნეს** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2025 წლის 27 აგვისტოს №13 სხდომის გადაწყვეტილებით (აკრ. №1141) **აკრედიტებული** უწყვეტი სამედიცინო განათლების (შემდეგში - უსგ) **ტრენინგ-პროგრამის** „სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“ (დასწრებული ფორმა; მოდულები **N1 დანართის** შესაბამისად; ტრენინგის ხანგრძლივობა **- 2 დღე,** დღეში 6-6 სატრენინგო საათი) **განმახორციელებელი პერსონალი:**

**ა) პროგრამის ავტორი/ხელმძღვანელი და ტრენერი - დავით ცეცხლაძე** (ბსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი, ექიმი-რადიოლოგი);
**ბ) ტრენერი - ფრიდონ ჯაფარიძე** (ბსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ექიმი-სტომატოლოგი);

**გ) ტრენერი - იათამზე თანდილავა** (ბსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, ექიმი-რადიოლოგი);

**დ) ტრენერი - გიორგი ბალაძე** (ბსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე მოწვეული მასწავლებელი, ექიმი-სტომატოლოგი).

2. უსგ-ის **ტრენინგ-პროგრამის ავტორთან/ხელმძღვანელთან და ტრენერებთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები,** <u>პროგრამაზე სწავლის საფასურის, პროგრამის პერსონალის შრომის ანაზღაურების და პირველადი ხარჯთაღრიცხვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრის შემდეგ.</u>
3. უსგ-ის ტრენინგ-პროგრამაზე **მიღება გამოცხადდეს ბსუ-ის ვებგვერდზე** (მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში - 15-20 მსმენელი), **პროგრამაზე** სწავლის საფასურის, პროგრამის პერსონალის შრომის ანაზღაურების და პირველადი ხარჯთაღრიცხვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრის შემდეგ, <u>პროგრამის ავტორის/ხელმძღვანელის ორგანიზებით</u> (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორთან კოორდინაციით).
4. უსგ-ის **ტრენინგ-პროგრამა** „სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები" (დასწრებული ფორმა, **სულ 2 დღე,** დღეში 6-6 სატრენინგო საათი) განხორციელდეს პროგრამაზე **არანაკლებ 15 და არაუმეტეს 20 მსმენელის** <u>ბსუ-ის რექტორის ბრძანებით ჩარიცხვის შემდეგ.</u>
5. ბსუ-ის პროფესიული განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა **(უსგ-ის პროგრამის ავტორმა/ხელმძღვანელმა) უზრუნველყოს:**

   ა) ტრენინგის მონაწილეთა ბაზის წარმოება (მონაწილის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტრენინგ-მოდულის გავლის შედეგის მითითებით);

   ბ) ტრენინგის გავლის დამადასტურებელი გაცემული სერტიფიკატების აღრიცხვა;

   გ) ყოველი თვის ბოლო კვირას მიაწოდოს ინფორმაცია შემდეგ თვეში დაგეგმილი პროგრამ(ებ)ის თაობაზე, პროგრამის ჩატარების თარიღისა და ადგილის მითითებით <u>(გამონაკლის შემთხვევაში</u> აღნიშნული ინფორმაცია საბჭოს სამდივნოს შესაძლებელია, წარედგინოს კონკრეტული პროგრამის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღემდე;

   დ) პროფესიული განვითარების საბჭოს სამდივნოს მიაწოდოს ინფორმაცია (მ.შ. ელექტრონულად) აქტივობებში მონაწილე პირებისა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საექიმო სპეციალობის დასახელება) და პედაგოგების (ტრენერების) (სახელი, გვარი, საათობრივი დატვირთვა) <u>შესახებ პროგრამის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღემდე</u>, ასევე, პროგრამის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
6. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ის ვებგვერდზე.
7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ამავე ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით ჯანდაცვის (რადიოლოგიის) მიმართულების კოორდინატორს, პროფესორ დავით ცეცხლაძეს (უზრუნველყოს ამ ბრძანებაში აღნიშნული ტრენერებისათვის დაგზავნა/ინფორმირება), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

**ბსუ-ის რექტორი** **ტიტე არუშიძე**

„ბსუ-ის უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი ტრენინგ-პროგრამის „სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“ პერსონალის მოწვევის შესახებ“

**ბსუ-ის რექტორის 2025 წლის 14 ნოემბრის № 01-04/194 ბრძანების**

**№1 დანართი**

ბსუ-ის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის
უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი პროგრამის
„სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“

**განმახორციელებელი პერსონალი**

(პროგრამის ავტორი/ხელმძღვანელი, ტრენერები)

| **სამუშაო დატვირთვა/ფუნქციები** | **პერსონალის სახელი, გვარი** | შესასრულებელი სამუშაო/სატრენინგო **საათები** |
|---|---|---|
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | | |
| **პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები** | **დავით ცეცხლაძე** | **პროგრამის ხელმძღვანელობა** (სასწავლო პროცესის დაგეგმვა-ორგანიზება, მათ შორის „პრე და პოსტ“ ტესტირების ჩატარება და სხვა აქტივობების შესრულება, რასაც ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის **მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული** „უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმები“ და ბსუ-ის რექტორის ბრძანება). |
| **პროგრამის ტრენერები**<br>**(შენიშვნა:**<br>კონკრეტული ტრენინგ-პროგრამის განხორციელებისათვის <u>პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განისაზღვრება შესაბამისი ტრენინგის თემის განმახორციელებელი ტრენერი</u> (ერთი ან ორივე), შესაბამისად, ტრენერის შრომის ანაზღაურება გაიცემა, პროგრამის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად მომზადებული ბსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე) | | |
| **ტრენინგის თემა:** პროგრამის შესავალი. რადიოლოგიის ზოგადი საკითხები.<br>სტომატოლოგიური რადიოლოგიის მეთოდები (I-IV ნაწილი). | 1. **დავით ცეცხლაძე;**<br>2. **იათამზე თანდილავა** | **სატრენინგო - 3 საათი** |
| **ტრენინგის თემა:** სტომატოლოგიური რადიოლოგიის მეთოდები (V ნაწილი).<br>კბილებისა და ყბების ნორმალური რადიოლოგიური ანატომია და მისი „ხაფანგები“. | 1. **დავით ცეცხლაძე;**<br>2. **იათამზე თანდილავა** | **სატრენინგო - 3 საათი** |

| | | |
|---|---|---|
| **ტრენინგის თემა:** რადიოლოგიური გამოსახულების შეფასების ზოგადი პრინციპები. | 1. დავით ცეცხლაძე;<br>2. იათამზე თანდილავა | სატრენინგო - 1 საათი |
| **ტრენინგის თემა:** სტომატოლოგიური რადიოლოგიის კლინიკური ასპექტები.<br>ორთოპანტომოგრაფიისა და კონუსურ-სხივური კომპიუტერული ტომოგრაფიის სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებიის მეთოდოლოგია; კლინიკური შემთხვევების განხილვა (I ნაწილი). | 1. ფრიდონ ჯაფარიძე;<br>2. გიორგი ბალაძე | სატრენინგო - 3 საათი |
| **ტრენინგის თემა:**<br>ორთოპანტომოგრაფიისა და კონუსურ-სხივური კომპიუტერული ტომოგრაფიის სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებიის მეთოდოლოგია; კლინიკური შემთხვევების განხილვა (II ნაწილი). | 1. გიორგი ბალაძე<br>2. ფრიდონ ჯაფარიძე | სატრენინგო - 2 საათი |